ბრძანება:**ბ135. 135250852**
თარიღი:**26/03/2025**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მაიზერ ჯაფარიძის ამერიკაში მივლინების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, 51-ე და 66-ე მუხლების, ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ "საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მივლინებულ იქნას მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მაიზერ ჯაფარიძე, ამერიკაში, ამერიკისა და კანადის ფინანსთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად მიმდინარე წლის 28 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით.

2. წინასწარ აუნაზღაურდეს ბილეთების საფასური (თბილისი-დოჰა-ვაშინგტონი-ნიუიორკი-დოჰა-თბილისი) **3115 (სამიათასასთხუთმეტი)** ლარის ოდენობით, ერთიანად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, მაიზერ ჯაფარიძის, პირად ანგარიშზე ჩარიცხვით.

3. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

4. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს ბილეთების შესაძენი თანხის თეიმურაზ ნავერიანის პირად ანგარიშზე გადარიცხვა.

5. ბრძანება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 180–ე მუხლის პირველი ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის'' 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12)

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი